17.08.2015

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2014 წელი (დაზუსტებული)

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1758 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87 პროცენტით აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2009-2014 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2014 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)

წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	**სულ**
2006	146,012	306,907	280,748	456,708	**1,190,375**
2007	421,370	401,452	489,112	702,908	**2,014,842**
2008	537,674	605,357	134,709	286,222	**1,563,962**
2009	113,974	177,229	173,223	193,974	**658,401**
2010	166,544	208,298	225,558	214,097	**814,497**
2011	209,720	248,335	316,595	342,594	**1,117,244**
2012	261,194	217,671	199,000	233,699	**911,564**
2013	252,316	207,893	254,825	226,868	**941,903**
2014	309,463	196,245	725,993	526,722	**1,758,423**

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 19 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №2 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2009-2014 წლებში.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2009-2014 წწ.

	2009	2010	2011	2012	2013	2014
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	-8	28	30	13	28	19

დიაგრამა №2.



ცხრილი №3 ასახავს საინვესტიციო ნაკადების დინამიკას 2009-2014 წლებში. დაზუსტებული მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 2873 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2014 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**658**	**814**	**1 117**	**912**	**942**	**1 758**
მათ შორის:						
შემომავალი ნაკადები	1 088	1 303	1 596	1 430	2 234	2 873
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-429	-488	-478	-518	-1 292	-1 115

2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №4):

ცხრილი №4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2014 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2013**	I	II	III	IV	**2014**
სულ	**252.3**	**207.9**	**254.8**	**226.9**	**941.9**	**309.5**	**196.2**	**726.0**	**526.7**	**1 758.4**
მათ შორის:										
ნიდერლანდები	36.5	30.4	38.3	48.0	**153.2**	86.9	98.0	98.8	90.0	**373.7**
აზერბაიჯანი	42.4	15.7	-12.8	36.6	**81.9**	63.9	78.1	110.4	89.0	**341.4**
ჩინეთი	13.2	75.3	2.4	-1.0	**89.9**	4.3	17.9	152.1	43.7	**217.9**
აშშ	16.0	17.7	22.4	-11.3	**44.8**	14.5	3.4	146.1	17.8	**181.9**
ლუქსემბურგი	2.4	117.2	10.9	12.1	**142.5**	16.2	53.7	17.3	22.5	**109.6**
გაერთიანებული სამეფო	19.1	-21.5	28.2	29.3	**55.2**	33.1	-14.0	24.5	63.9	**107.6**
რუსეთი	2.2	-2.7	-11.2	13.8	**2.0**	21.3	22.1	16.8	22.1	**82.2**
პანამა	2.2	9.8	6.0	7.7	**25.8**	8.6	-0.5	44.4	18.2	**70.7**
თურქეთი	-4.2	36.4	17.1	-6.5	**42.8**	25.3	20.3	21.4	-3.9	**63.1**
დანარჩენი ქვეყნები	122.6	-70.4	153.4	98.3	**303.8**	35.4	-82.8	94.3	163.3	**210.2**

დიაგრამა №3.



უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014 წლის დაზუსტებული მონაცემების მიხედვით 52 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 21 პროცენტით, მეორეზე - აზერბაიჯანი 19 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 12 პროცენტით.

დიაგრამა №4.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2014 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №5:

ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2014 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2013**	I	II	III	IV	**2014**
სულ	**252.3**	**207.9**	**254.8**	**226.9**	**941.9**	**309.5**	**196.2**	**726.0**	**526.7**	**1 758.4**
მათ შორის:										
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	35.6	27.5	51.2	25.8	**140.1**	81.7	112.9	132.6	106.5	**433.7**
მშენებლობა	4.9	48.7	-3.4	-0.5	**49.8**	-0.9	30.9	183.0	103.6	**316.6**
დამამუშავებელი მრეწველობა	15.8	28.4	12.8	42.8	**99.8**	57.6	57.9	54.7	35.2	**205.4**
ენერგეტიკა	52.1	71.3	73.6	47.8	**244.7**	22.6	78.9	51.0	37.4	**189.9**
უძრავი ქონება	-12.0	12.9	31.8	9.6	**42.3**	4.3	5.4	163.9	-34.9	**138.7**
სასტუმროები და რესტორნები	0.4	-16.4	1.7	1.0	**-13.4**	15.4	17.7	62.7	29.0	**124.9**
საფინანსო სექტორი	63.7	14.9	49.3	38.4	**166.4**	91.9	-128.9	40.7	111.6	**115.3**
დანარჩენი სექტორები	91.8	20.6	37.8	61.9	**212.1**	36.9	21.4	37.4	138.3	**234.0**

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2014 წელს 55 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 433.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 25 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს მშენებლობის სექტორი 316.6 მლნ. აშშ დოლარით (18 პროცენტი), ხოლო მესამეს დამამუშავებელი მრეწველობა - 205.4 მლნ. აშშ დოლარით (12 პროცენტი).

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წელს



წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

განსხვავება წინასწარ და დაზუსტებულ მონაცემებს შორის გამოწვეულია საწარმოთა მიერ წლიური საბალანსო მონაცემების დაზუსტებით, საკანონმდებლო ცვლილებით და მოცვის გაუმჯობესებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.